,,წმინდა მიქაელის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი'' დაარსდა 1844 წელს და კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე სამკურნალო დაწესებულებაა. იგი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალს, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვის არის სტრატეგიული ობიექტი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, მულტიპროფილური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი თანამედროვე ჰოსპიტალი.

,,წმინდა მიქაელის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი'' აცხადებს ვაკანსიას **მორიგე უმცროსი ექიმის პოზიციაზე.**

სამუშაო ადგილი: თბილისი, ჟვანიას ქ. #15

დასახელება: **გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილების მორიგე უმცროსი ექიმი**

სამუშაო საათები: 24 სთ მორიგეობა

ვაკანტური ადგილი: **2**

ჩვენ გთავაზობთ:
• მეგობრულ გარემოს;
• ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას;
• უსაფრთხო სამუშაო გარემოს;
• პროფესიული განვითარების შესაძლებლობას;

ფუნქცია-მოვალეობები:

- პაციენტების პირველადი შეფასება, ანამნეზის შეკრება და სამედიცინო მონაცემების დოკუმენტირება;
- პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ცვლილებების შესახებ უფროსი ექიმის ინფორმირება;
- ექიმის დანიშნულებების შესრულებაში მონაწილეობა და სამედიცინო პროცედურების განხორციელებაში დახმარება უფლებამოსილების ფარგლებში;
- სამედიცინო ეთიკის დაცვით, კომპეტენციის ფარგლებში, სამედიცინო პერსონალთან, პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია, საჭირო ინფორმაციის მიღება-გაცემა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოება;
- ერთჯერადი გამოყენების საგნების ხარჯვის აღრიცხვის წარმოება;
- სამკურნალო საშუალებების შენახვისა და გამოყენების წესების დაცვა;
- შესრულებული სამუშაოს დადასტურება ხელმოწერით;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ზოგადი სამედიცინო განათლება ან ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
- სასურველია გამოცდილება მსგავს პოზიციაზე.

პიროვნული უნარ-ჩვევები;

- პასუხიმგებლობის მაღალი გრძნობა;
- საზოგადოების შინგანაწესით და სამსახურებში დადგენილი წესით მუშაობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;